გლობალური კატასტროფების გამოძახილი კინემატოგრაფში

თამთა თურმანიძე

საკვანძო სიტყვები: *ფილმები კატასტროფების შესახებ, ჟანრის კანონები და სქემები*

კატასტროფების შესახებ გადაღებული ფილმების ჟანრის წარმოშობა, განვითარება და ძირითადი მახასიათებლები. ამ მიმართულების ფილმების პოპულარობის პიკი 70-იან წლებში, მიზეზები, ძირითადი თემები და კლასიკური ნიმუშები.

კაცობრიობის ისტორიის მანძილზე მომხდარი ომები, პანდემიები, ეკოლოგიური ცვლილებები თუ კატასტროფები სხვადასხვა სახით ყოველთვის აისახებოდა ხელოვნებაში. მასშტაბური ეპიდემიების პერიოდში, იქნებოდა ეს „შავი ჭირი“ თუ „ყვავილი“, ადამიანებში ძლიერდებოდა სამყაროს დასასრულის შიში და ეს განცდა გარკვეულ მხატვრულ სახეებად ტრანსფორმირდებოდა. ასეთი იყო ე.წ. „სიკვდილის როკვის“ ალეგორიული სიუჟეტი შუა საუკუნეების დასავლეთ ევროპულ ფერწერასა და ტაძრების მხატვრობაში, სადაც სიკვდილი საიქიოსკენ მიუძღოდა საზოგადოების სხვადასხვა ფენის წარმომადგენლებს: მოქალაქეებსა და გლეხებს, არისტოკრატებსა და სასულიერო პირებს, ქალებსა და მამაკაცებს, მოხუცებსა და ბავშვებს. შუა საუკუნეების მკაცრად კლასიფიცირებულ საზოგადოებაში ეს ის იშვიათი შემთხვევა იყო, როდესაც გარდაუვალი და ყოვლისმომცველი საფრთხის წინაშე ყველა თანაბარი ხდებოდა განურჩევლად სოციალური სტატუსისა, სქესისა თუ ასაკისა. დაახლოებით იგივე შეიძლება ითქვას 2020 წელზე, როდესაც გლობალურმა პანდემიამ არა მხოლოდ სოციალურ სტატუსებს, არამედ კულტურებსა და რელიგიებს შორისაც წაშალა საზღვრები. ბოკაჩოს „დეკამერონის“ სიუჟეტის განვითარებაც ხომ „შავი ჭირის“ ეპიდემიის ფონზე ხდება. სწორედ ეს ავადმყოფობა იქცევა იმ გარემოებად, რომელიც მთავარ გმირებს ერთ, ჩაკეტილ სივრცეში მოაქცევს.

ბუნებრივია, რომ ხელოვნების დარგი, რომელიც ყველა მანამდე არსებულის სინთეზს წარმოადგენს, ვერაფრით დარჩებოდა მსოფლიო კატასტროფებისა თუ კატაკლიზმების ასახვის მიღმა. კინემატოგრაფში, ჯერ კიდევ მისი განვითარების გარიჟრაჟზე წარმოიშვა ჟანრი, რომელსაც შეიძლება პირობითად ვუწოდოთ ფილმი კატასტროფის შესახებ, სადაც სიუჟეტური ხაზი მოახლოებული თუ მიმდინარე კატასტროფის ფონზე ვითარდება, თუმცა ამ მიმართულებასთან დაკავშირებით გარკვეული აზრთა სხვადასხვაობაც არსებობს, სპეციალისტთა ნაწილი მას დამოუკიდებელ ჟანრად მიიჩნევს, ნაწილი კი თრილერის ერთგვარ ქვეჟანრად თვლის. მაგრამ მიუხედავად აზრთა სხვადასხვაობისა, ფაქტია, რომ ამ ლამის თავად კინემატოგრაფის თანატოლმა ჟანრმა გაუძლო დროს და დღემდე არ კარგავს აქტუალობას.

ერთ-ერთ პირველ, ამ ჟანრში გადაღებულ ფილმად ბრაიტონის სკოლის წარმომადგენლის, ჯეიმს უილიამსონის 1901 წელს გადაღებულ ფილმს, „ხანძარს“ მიიჩნევენ, სადაც ნაჩვენებია თუ როგორ აქრობენ მეხანძრეები ცეცხლს და გადაარჩენენ ცეცხლმოკიდებული სახლის მცხოვრებლებს. საგულისხმოა, რომ თითქმის სამოცდაათი წლის შემდეგ მსგავსი ფაბულით გადაღებული ფილმი ამ ჟანრის კლასიკად იქცევა.

ამ მიმართულების ერთ-ერთი პირველი კინოსურათია ჟორჟ მელიესის პატარა ფილმი, რომელიც კინემატოგრაფის პიონერმა 1902 წელს კუნძულ მარტინიკაზე ვულკან მონ პელეს ამოფრქვევას მიუძღვნა.[1]

საკმაოდ მარტივი საშუალებების, ტილოს, წყლის,

1 დოლიძე, მსოფლიო კინემატოგრაფის, 2016, გვ. 40.

ფერფლისა და ასაფეთქებელი მოწყობილობის გამოყენებით, მელიესი შეეცადა ტრაგიკული კატასტროფის რეკონსტრუქცია მოეხდინა. მას ორი მიზანი ამოძრავებდა, ერთი მხრივ, უნდოდა ადამიანებისთვის მიეწოდებინა ინფორმაცია მომხდარი კატასტროფის შესახებ და, მეორე მხრივ, „მოძრავი სურათების" ტექნიკური შესაძლებლობები ეჩვენებინა. შეიძლება ითქვას, რომ მელიესისეული მიდგომა დღემდე მუშაობს კატასტროფებზე გადაღებული ფილმების ჟანრში, სადაც სიუჟეტის საყრდენი ხშირად ისტორიული ფაქტები ან რეალური კატასტროფები ხდება და, ამავე დროს, გამოიყენება ყველაზე დახვეწილი და თანამედროვე ტექნიკური არსენალი, ეფექტური ვიზუალური მხარის შესაქმნელად, იმისათვის, რომ სტიქიის, გარემოებებისა თუ შემთხვევითობის წინაშე ადამიანების უმწეობა წარმოაჩინონ.

რა თქმა უნდა, უილიამსონისა და მელიესის შემდეგ ჟანრმა განვითარება განიცადა, რასაც, პირველ რიგში, ტექნიკური საშუალებებისა და, მოგვიანებით, უკვე კომპიუტერული გრაფიკის დახვეწამაც შეუწყო ხელი. დროთა განმავლობაში, ისევე, როგორც სხვა ტიპის ჟანრულ კინოში, კატასტროფებზე გადაღებულ ფილმებშიც საკუთარი სქემები და კანონები ჩამოყალიბდა:

- დასაწყისში თხრობის ერთგვარად დანელებული რიტმი, რომელიც გვაძლევს საშუალებას, კარგად გავეცნოთ და დავიმახსოვროთ მოქმედი გმირები და მათი ამბები, რომელთა თხრობაც პარალელურად მიმდინარეობს;
- თავიდან არავის სჯერა კატასტროფის სიმძიმისა, მიუხედავად იმისა, რომ რომელიმე პერსონაჟი (ინჟინერი, მეცნიერი და ა.შ.) ცდილობს პერსონაჟების გააფრთხილებას;
- დაძაბულობის გაზრდის მიზნით მაყურებელი პერიოდულად ხედავს მოახლოებულ მზარდ საფრთხეს, რომელზეც გმირებს ჯერ წარმოდგენაც არა აქვთ;
- კატასტროფული სიტუაცია ქმნის ფონს, რომელიც გმირებს თავისი ადამიანური თვისებების, ძალისა თუ სისუსტის გამოვლენის საშუალებას აძლევს;
- ამ ტიპის ფილმების სტილური გადაწყვეტის თავისებურებებს განეკუთვნება თითქმის დოკუმენტური კადრების კომბინირება ფანტასტიკურ პიროობითობასთან;
- სიუჟეტის განვითარების პარალელურად, ტემპორიტმი სულ უფრო ჩქარდება, მოქმედება კი სულ უფრო დაძაბული და დინამიკური ხდება;
- მომხდარი კატასტროფის შეფასება საერთო გამოუვალ მდგომარეობაში მოქცეული სხვადასხვა ადამიანის თვალთახედვიდან ხდება, რომელთაც, სიტუაციიდან გამომდინარე, ერთმანეთისადმი სოლიდარობისა და თანაგრძნობის განცდა უჩნდებათ;
- ამ ტიპის ფილმებში საკმაოდ დიდი სამსახიობო ანსამბლია დაკავებული, თუმცა მალევე გამოიკვეთება ხოლმე მთავარი გმირი, არასტანდარტული აზროვნებითა და ბრძოლის უნარით, რომელიც ყველაზე გამოუვალი სიტუაციის წინაშეც კი არ ყრის ფარ-ხმალს. უმეტეს შემთხვევაში, ასეთი გმირის როლში პოპულარული და მაყურებლისთვის საყვარელი მსახიობი გვევლინება;
- რამდენიმე სასიყვარულო ამბავი პარალელურად ვითარდება;
- უარყოფით პერსონაჟებს უჩნდებათ გამოსწორების შანსი და ცოდვების მონანიების შემდეგ, ხშირად თავს სწირავენ ვინმეს გადასარჩენად;
- მაყურებელზე მეტი ემოციური ზემოქმედების მიზნით კატასტროფის ადგილას ბევრი ბავშვი, მოხუცი და ქალი აღმოჩნდება ხოლმე გამოუვალ მდგომარეობაში.

ზემოთ ჩამოთვლილი ჟანრული კანონები ამ მიმართულების თითქმის ყველა ფილმს შეიძლება მიესადაგოს სხვადასხვა ვარიაციით.

ამ ჟანრის ფილმების სიუჟეტებს ხშირად რეალური კატასტროფები ან ისტორიული მოვლენები უდევთ საფუძვლად, მაგალითად, არაერთხელ ასახულა კინოში პომპეის დაღუპვის თემა. ერთ-ერთი ბოლო ნამუშევარი ამ მხრივ 2014 წელს გადაღებული ფილმი „პომპეი" (რეჟ. პ.უ. ანდერსონი) არის. ასევე პოპულარული თემაა სხვადასხვა სტიქიური უბედურება, მაგალითად, 2009 წლის ცუნამი ტაილანდში იქცა ესპანელი, ტაილანდელი და ამერიკელი კინემატოგრაფისტების ერთობლივი ნამუშევრის, „შეუძლებელი" (2012) თემად, რომელსაც საფუძვლად დაედო ამ მოვლენების უშუალო მონაწილის, ესპანელი ექიმის, მარია ბელემ ალვარესის რეალური თავგადასავალი.

ყველაზე ხშირად განმეორებადი კატასტროფის სიუჟეტი კინოში, რა თქმა უნდა, „ტიტანიკის" დაღუპ-

ვაა, რომელიც პირველად ჯერ კიდევ 1912 წელს გადაღებულ ფილმებში „ტიტანიკიდან გადარჩენილი“ (რეჟ. ე. არნო) და „ღამე და ყინული“ (რეჟ. მ. მიზუ) გამოჩნდა. „ტიტანიკის“ დაღუპვის თემას შემდეგში, კინოს განვითარების თითქმის მთელი ისტორიის განმავლობაში, არ დაუკარგავს აქტუალობა. 1943 წელს გერმანელმა კინემატოგრაფისტებმა ვერნერ კლინგლერმა და ჰერბერტ ზელპინმა გამოუშვეს ეპიკური ფილმი, „ტიტანიკი“. 1953 წელს უკვე სტუდია „XX საუკუნე ფოქსი“ იღებს ამავე სახელწოდების ფილმს, რომელმაც საუკეთესო სცენარისთვის „ოსკარიც“ დაიმსახურა. ფილმში მთავარი როლები კლიფტონ უებმა და ბარბარა სტენვიკმა შეასრულეს. „ტიტანიკის“ კატასტროფის თემა ბრიტანულ კინემატოგრაფშიც აისახა. ეს არის 1958 წელს გადაღებული ფილმი, „ღამე, რომელიც უნდა გვახსოვდეს“ (რეჟ. რ. უ. ბეიქერი) და, რა თქმა უნდა, ამ თემის ტრიუმფატორად იქცა 1997 წელს რეჟისორ ჯეიმს ქამერონის მიერ გადაღებული „ტიტანიკი“, რომლის მხატვრულ ღირსებებზე ბევრი შეიძლება ვიდავოთ, მაგრამ ფაქტი ფაქტად რჩება, რომ საოკეანო ლაინერის კატასტროფის ფონზე განვითარებული რომანტიკული ამბავი იმ წელს თერთმეტი „ოსკარის“ მფლობელი გახდა, დიდი ხნის განმავლობაში კი ასევე სალარო შემოსავლების ლიდერად რჩებოდა. ასე, რომ ზემოთ აღნიშნული სქემა, რეალურ კატასტროფას+სასიყვარულო ამბავი+პოპულარული მსახიობები აქ ნამდვილად მუშაობს.

კატასტროფაზე შექმნილი ფილმი ამერიკული კინოს ერთ-ერთი მამამთავრის, ჯონ ფორდის არსენალშიც არის. ამ კინოსურათს „ქარიშხალი“ (1937) ჰქვია. ფილმის სიუჟეტი პოლინეზიის ერთ-ერთ კუნძულზე ვითარდება, რომელსაც საფრანგეთის კოლონიალური ხელისუფლება მართავს და რომელსაც დამანგრეველი ქარიშხალი დაატყდება თავს. ამ მიმართულების ფილმებში უდიდესი მნიშვნელობა ენიჭებოდა ვიზუალურ ეფექტებს და გამონაკლისი, ამ მხრივ, არც ფორდის ფილმია, რომლის ფინალური სცენის გადასაღებად მოაწყვეს სპეციალური მოედანი. გამოიყენეს წყლის რეზერვუარები, ჰიდროელექტრონული ტურბოები, დაპროექტებული წყალგასაშვები მოწყობილობები და ვენტილატორები. სპეცეფექტების ოსტატებმა ეს ვენტილატორები თვითმფრინავის ძრავის მეშვეობით ისეთ ბრუნვაში მოიყვანეს და კატასტროფის ისეთი ატმოსფერო შექმნეს, რომ მასობრივი სცენის მონაწილე სამოელები გაოცებულები დარჩნენ, რადგან მსგავსი ქარიშხალი საკუთარ სამშობლოშიც არ ენახათ.[2]

კატასტროფებზე გადაღებული ფილმების ჟანრის განვითარების პიკი 70-იან წლებზე მოდის. სწორედ ამ დროს შეიქმნა ამ მიმართულების კლასიკურ ნიმუშებად აღიარებული კინოსურათები. ერთ-ერთი პირველი რეჟისორ ირვინ ალენის ფილმია, „პოსეიდონის დაღუპვა“ (1970), რომლის მოქმედებაც შობის ღამეს, თბომავალ „პოსეიდონზე“ ვითარდება, რაც უკვე ქმნის შემოსაზღვრულ სივრცეს, რომელიც გმირების მოქმედების არეალად იქცევა. შობის დღესასწაულის აღნიშვნას სეისმური აფეთქება შეწყვეტს და გემი ჩაძირვას იწყებს. პანიკაში ჩავარდნილი ბრბოდან კამერა მგზავრთა რამდენიმე ჯგუფს გამოიტაცებს და ფილმის სიუჟეტი სწორედ მათი ქმედებებისა და ფსიქოლოგიური მდგომარეობის გარშემო ვითარდება.

1973 წელს გამოვიდა ფილმი, „იაპონიის დაღუპვა“, რომლის რეჟისორიც იყო სირო მორიტანი. ფილმს საფუძვლად მწერალ საკე კომაცუს წიგნი დაედო. სიუჟეტის მიხედვით, ერთ -ერთი გეოლოგი ტადოკორო ოკეანის ფსკერზე განვითარებული ტექტონიკური ძვრების შესწავლის შედეგად ასკვნის, რომ იაპონიის კუნძულებს უახლოეს მომავალში ჩაძირვა ემუქრებათ. მაგრამ ჟანრის კანონიკის მიხედვით, რა თქმა უნდა, მის გაფრთხილებას არავინ აღიქვამს სერიოზულად. ტადოკოროსი მხოლოდ ყოფილ პოლიტიკოსს, მოხუცებულ თავად ვატარის სჯერა. როდესაც კატასტროფა დაიწყება, ტოკიო და იაპონიის სხვა დიდი ქალაქები ნანგრევებად იქცევა, მოსახლეობის ევაკუაცია უკვე ძალიან რთული აღმოჩნდება. აქაც რამდენიმე პერსონაჟის თავგადასავალს ვადევნებთ თვალყურს. თავადი ვატარი, რომელიც ძველი იაპონიის ერთგვარ სიმბოლურ სახეს წარმოადგენს, უარს ამბობს ევაკუაციაზე, ის სხვებსაც მოუწოდებს უარი თქვან ევაკუაციაზე და საკუთარ ქვეყანასთან ერთად დაიღუპონ. აქვეა შეყვარებულთა წყვილიც, რომლებიც ევაკუაციისას ქვეყნის სხვადასხვა მხარეს აღმოჩნდებიან.

აპოკალიპტურ „იაპონიის დაღუპვაში“ საზოგადოებაში ჩაბუდებული მომავლის რეალური შიში აისახა,

2 დოლიძე, ჯონ ფორდი, 2020, გვ. 125.

ფილმი აღმოჩნდა ერთგვარი გაფრთხილება კაცობრიობისთვის და მოწოდება ურთიერთსოლიდარობისადმი. მსგავსი თემატიკა, ალბათ, არასდროს დაკარგავს აქტუალობას, რადგან 2020 წელს „იაპონიის დაღუპვის“ „რიმეიქი“ შეიქმნა, ოღონდ უკვე ანიმეს სახით.

როგორც სქემატურ ჩამონათვალში აღინიშნა, კატასტროფებზე გადაღებულ ფილმებში რაიმე სტიქიური უბედურება თუ ტექნიკური კატასტროფა ქმნის ჩაკეტილ სივრცეს, რომლის შიგნით მოქცეული გმირები უკვე სრულიად ავლენენ საკუთარ ხასიათს, რადგან გარდაუვალი საფრთხის წინაშე მდგარი ადამიანები თავისუფლდებიან სოციალური სტატუსით თავსმოხვეული წესებისა თუ კანონებისგან და მხოლოდ საკუთარი შინაგანი ხმისა და ინსტინქტის კარნახით მოქმედებენ.

ამ ტიპის ფილმებს მიეკუთვნება ირვინ ალენისა და ჯონ გილერმინის ფილმი, „ჯოჯოხეთი ცისქვეშეთში“ (1974), სადაც მოქმედება ცეცხლმოკიდებულ ცათამბჯენში ვითარდება, რომლის ტყვეობაში საზეიმო ბანკეტის სამასამდე მონაწილე აღმოჩნდება. ბედის ირონიით, ეს ადამიანები სწორედ ამ ცათამბჯენის გახსნის ცერემონიის მონაწილეები არიან. შეიძლება ითქვას, რომ ამ ფილმში ჩვენ მიერ ჩამოთვლილი ჟანრული სქემის თითქმის ყველა კანონი მუშაობს. კინოსურათში საკმაოდ ბევრი პოპულარული მსახიობია დაკავებული: ფრედ ასტერი, უილიამ ჰოლდენი, რიჩარდ ჩემბერლენი, ფეი დანაუეი და მთავარი გადამრჩენების როლებში: პოლ ნიუმენი და სტივ მაქკუინი. ნიუმენის პერსონაჟი ცათამბჯენის დამპროექტებელი არქიტექტორია, რომელიც ცეცხლმოკიდებული შენობის შიგნიდან ცდილობს ადამიანების დახსნას, მაქკუინი კი, სახანძრო რაზმის მეთაური, რომელიც უკვე გარედან ცდილობს ჯოჯოხეთად ქცეულ ცათამბჯენში მომწყვდეული ხალხის გადარჩენას. ამგვარად, ჟანრის წარმოშობის გარიჟრაჟზე, ხანძრის გამო შექმნილი ჩაკეტილი სივრციდან ადამიანების დახსნის სიუჟეტი, ამ კინოსურათში გაცილებით უფრო დიდ მასშტაბში ვითარდება. პარალელურად ვხედავთ რამდენიმე სასიყვარულო ამბის განვითარებასაც, რაც, რა თქმა უნდა, ემოციურ ზემოქმედებას ახდენს მაყურებელზე და პერსონაჟებისადმი თანაგრძნობას უჩენს. დაძაბულობას ზრდის ფილმის დასაწყისში, ცათამბჯენის ერთ-ერთ ოთახში გაჩენილი ცეცხლის მცირე კერის ჩვენებაც, რომელიც ნელ-ნელა მასშტაბური ხდება. იღუპება ხანძრის გაჩენაში დამნაშავე ინჟინერიც, რომელმაც ეკონომიის მიზნით უხარისხო მასალა გამოიყენა ელექტროგაყვანილობისთვის. განსაკუთრებული ყურადღება ფილმის შემქმნელებმა სპეცეფექტებს დაუთმეს, რაც ნამდვილად აისახა შემოსავლებზე. კინოსურათმა, რომელზეც სულ 15 მილიონი დოლარი დაიხარჯა, 200 მილიონამდე მოგება მოიტანა.[3]

იმავე 1974 წელს რეჟისორ მარკ რობსონის ფილმი, „მიწისძვრა“ რეპორტაჟულ სტილში გადმოცემს სან-ფრანცისკოს თავსდამტყდარ სტიქიურ უბედურებას. მიწისძვრის ბიძგები მკვეთრად ცვლის ქალაქის მცხოვრებლების ჩვეულ ცხოვრების რიტმს და მოქმედების დინამიზმი დანგრეული შენობების პარალელურად მატულობს. მაქსიმალური ეფექტის მისაღწევად ფილმის დისტრიბუტორებმა კინოდარბაზებში სპეციალური მოწყობილობები დააყენეს, რომლებიც ნამდვილი მიწისძვრის შეგრძნებას იწვევდნენ: ირხეოდა კედლები, ვიბრირებდა მაყურებელთა სავარძლები და ძიგძიგებდა იატაკი, დინამიკებიდან კი ნგრევის ხმა ისმოდა.

ძალიან ბევრი შეიძლება ვიმსჯელოთ, თუ რატომ დაემთხვა კატასტროფებზე გადაღებული ფილმების პოპულარობა მაინცდამაინც 70-იან წლებს, კინო ხომ ყოველთვის იმ დროის სულისკვეთებით საზრდოობს, რომელშიც იქმნება და, ამ მხრივ, საინტერესოა გადავხედოთ თავად ამ ათწლეულსა და მის ტენდენციებს.

XX საუკუნის 70-იანი წლებისთვის თანამედროვე ცივილიზაციამ უკვე მრავალი განსაცდელი გამოიარა, იყო მეორე მსოფლიო ომი, რომელმაც მანამდე წარმოუდგენელი მასობრივი მკვლელობები მოიტანა, იყო კარიბის კრიზისი და ბირთვული ომის საფრთხე, ჩაიარა 60-იანი წლების მოძრაობებმა და მოწოდებებმა სამყაროს უკეთესობისაკენ შეცვლის შესახებ, შეუქცევადი ტექნიკური პროგრესი კი ყოველდღიურად ცვლიდა საზოგადოების ცხოვრების წესს, და ადამიანთა გულებში სულ სხვა შფოთვებმა და მომავლის შიშმა დაიკავა ადგილი. იმ თეორიებს შო-

3 მარკულანი, საშინელებათა ფილმი.

რის, თუ რატომ განვითარდა ეს ჟანრი მაინცდამაინც 70-იან წლებში, ერთ-ერთი ყველაზე პოპულარულია მოსაზრება იმის შესახებ, რომ კატასტროფებზე გადაღებული ფილმები თავისებური ანტიდოტია, რომლის მეშვეობითაც კაცობრიობა თავის შიშებს ებრძვის. ზოგიერთი კინემატოგრაფისტის მოსაზრებით კი ეს მარტოობის შიშთან ბრძოლის საშუალებაცაა, რადგან საერთო საფრთხე აერთიანებს მაყურებელთა დარბაზში მსხდომ ადამიანებს და მათ სოლიდარობის განცდას უჩენს.[4]

გამოყენებული ლიტერატურა:

- დოლიძე ზ., მსოფლიო კინემატოგრაფის ისტორია. უხმო კინო. თბილისი, „კენტავრი“, 2007.
- დოლიძე ზ., ჯონ ფორდი. თბ., „მწიგნობარი“, 2020.
- მარკულანი ი., „საშინელებათა ფილმი“. „ისკუსტვო“, ლენინგრადი. 978 https://coollib.com/b/493192-yanina-kazimirovna-markulan-kinomelodrama-film-uzhasov/read

4 იქვე.

ECHOES OF GLOBAL DISASTERS IN CINEMA

Tamta Turmanidze

Keywords: *disaster films, genre laws and schemes.*

The origin, development and main features of the genre of disaster films. The peak of popularity of films of this direction in the 1970s, reasons, main themes and classic patterns.

Wars, pandemics, ecological changes and disasters that have occurred throughout the history of mankind have always been reflected in art in different ways. During large-scale epidemics, whether it was the black plague or smallpox, the fear of the end of the world grew stronger in people, and this feeling was transformed into certain artistic forms. Such was the so-called allegorical plot of the Dance of Death in medieval Western European paintings and murals, in which death led to the next world of representatives of different social classes of society: citizens and peasants, aristocrats and clergy, women and men, old people and children. In the strictly classed society of the Middle Ages, it was a rare that, in the face of an imminent and all-encompassing threat, everyone became equal, regardless of social status, gender, or age. Approximately the same can be said about the year 2020, when the global pandemic erased the boundaries not only between social statuses, but also between cultures and religions. The story of Boccaccio's *Decameron* also takes place against the background of the Black Death epidemic, and this illness becomes the circumstances that will bring the main characters into one closed space.

It is natural that the field of art, which is a synthesis of all the previous ones, could not stay beyond the reflection of world disasters or cataclysms. In cinema, even at the dawn of its development, a genre emerged to be conditionally called a film about a disaster, where the story line develops against the background of an impending or current disaster. Although there is a difference of opinion regarding this trend, some specialists consider it an independent genre, while some consider it a kind of subgenre of thriller. Still, it is a fact that this genre, which is equal to cinema itself, has stood the test of time and has not lost its relevance to this day.

One of the first films in this genre is considered the 1901 film Fire by James Williamson, a representative of the Brighton School, which shows how firefighters put out the fire and save the residents from a burning house. It is significant that almost seventy years later a film with a similar plot becomes a classic of this genre, but we will talk about that later.

Also, one of the first pictures of this direction is a short by Georges Méliès (mentioned by film expert Zviad Dolidze in his book) which this pioneer of cinema dedicated to the eruption of the Mont Pelee volcano on the island of Martinique in 1902.[1] Using rather simple means, canvas, water, ashes and an explosive device, Méliès tried to reconstruct the tragic disaster. He was driven by two goals, on the one hand, he wanted to provide people with information about the disaster and, on the other, to show the technical capabilities of "moving pictures". It can be said that the Mélièsian approach still works in the genre of disaster films, where the story often builds on historical facts or real disasters, and at the same time the most sophisticated and modern technical arsenal is used to create an effective visual side, in order to show the helplessness of people in the face of disaster,

1 Dolidze, History of World Cinema, 2007.

circumstances or chance.

Of course, after Williamson and Méliès, the genre developed, firstly facilitated by the improvement of technical means and later by computer graphics. Over time, as well as in other types of genre cinema, disaster films developed their own schemes and laws, which can be formulated as follows:

- At the beginning, the rhythm of the narration is slow to allow us to get to know and remember the active characters and their stories narrated in parallel.
- At first, no one believes the severity of the disaster, even though some character (engineer, scientist, etc.) tries to warn others.
- In order to increase the tension, the audience periodically sees a growing threat that the heroes have no idea about.
- A catastrophic situation creates a background that allows the characters to reveal their human qualities, strength or weakness.
- The peculiarities of the stylistic solution of this type of film include the combination of almost documentary shots with fantastic conventionality.
- Along with the development of the story, the tempo is getting faster and the action is becoming more tense and dynamic.
- The assessment of the disaster is made from the point of view of different people in a common hopeless situation, who, depending on the situation, feel a sense of solidarity and sympathy for one another.
- In this type of film, a fairly large ensemble of actors is involved, but soon the main character is revealed, with extraordinary thinking and fighting skills, who does not give up even while facing the most hopeless situation. In most cases, a popular and favorite actor appears in the role of such a hero.
- Several love stories are developing in parallel.
- Negative characters get a chance to make amends and often sacrifice themselves to save someone after repenting their sins.
- In order to have a greater emotional impact on the audience, many children, old people and women are sometimes in a desperate situation at the disaster site.

The genre laws listed above can be applied to almost all films of this direction in different variations.

As mentioned earlier, the plots of this genre of films are often based on real disasters or historical events. For example, the theme of the death of Pompeii has been repeatedly depicted in cinema, one of the last works in this regard being the film *Pompeii* (dir. P.U. Anderson) shot in 2014. Various natural disasters are also a popular topic, for example, the 2009 tsunami in Thailand became the theme of the joint work of Spanish, Thai and American filmmakers *Impossible* (2012), based on the real story of a direct participant in these events, Spanish doctor Maria Belem Alvarez.

But the most frequently repeated disaster story in the cinema is, of course, the sinking of the Titanic, which was first reenacted in 1912 in the films *Survivor from the Titanic* (dir. E. Arno, the film itself is lost) and *In Night and Ice* (dir. M. Mizu). The theme of the sinking of the Titanic has not lost its relevance throughout almost the entire history of cinema. In 1943, German filmmakers Werner Klingler and Herbert Selpin released the epic film Titanic. In 1953, 20th Century Fox made a film of the same name, which won an Oscar for the best screenplay. Clifton Webb and Barbara Stanwyck played the main roles in the film. The theme of the Titanic disaster was also reflected in British cinema, in the film *A Night to Remember* shot in 1958 (dir. R.U. Baker) and of course, *Titanic* by James Cameron in 1997 became the triumphant of this topic, whose artistic merits can be disputed, but the fact remains that the romantic story developed against the background of the ocean liner disaster won eleven Oscars that year. For a long time, it also remained the leader in box office revenues. So, the scheme mentioned at the beginning of our story: real disaster + love story + popular actors really work.

A film based on the disaster is also in the arsenal of one of the fathers of American cinema, John Ford. This picture is called *Storm* (1937). The plot of the film takes place on one of the Polynesian islands governed by the French colonial authorities

and hit by a devastating storm. As mentioned earlier, the greatest importance was attached to visual effects in the films of this direction, and Ford's film is no exception in this regard, for which a special field was arranged for the final scene. Water reservoirs, hydroelectric turbos, engineered water discharge devices and fans were used. The special effects masters spun these fans through the plane's engine and created such an atmosphere of disaster that the Samoans participating in the mass scene were amazed, as they had never seen such a storm in their homeland.[2]

The peak of the development of the genre of films comes in the 1970s when the images recognized as classic examples of this direction were created. One of the first in this regard is *The Fall of Poseidon* (1970) by Irwin Allen, the action of which takes place on the vessel Poseidon on Christmas Eve, which already creates a confined space that becomes the area of action of the heroes. The Christmas celebration is interrupted by a seismic explosion and the ship begins to sink. The camera captures several groups of passengers from the panicked crowd, and the plot of the film revolves around their actions and psychological state.

In 1973, the film *Japan Sinks* was released, directed by Shiro Moritani. The film was based on the book by Sakyo Komatsu. According to the story, one of the geologists, Tadokoro, after studying the tectonic shifts on the ocean floor, concludes that the Japanese islands are at risk of sinking in the near future. But according to the canon of the genre, of course, no one takes his warning seriously, except old Watari, a retired politician. When the disaster begins, Tokyo and other large cities in Japan are reduced to rubble, and the evacuation of the population is very difficult. Here too we follow the adventures of several characters. Prince Watari, a symbol of ancient Japan, refuses to evacuate, calls on others to follow suit and die with their country. There is also a couple of lovers who find themselves in different parts of the country during the evacuation.

In apocalyptic *Japan Sinks* real fear of the future is reflected in uncertainty. The film turned out to be a warning to humanity and a call for mutual solidarity. Such a topic will probably never lose relevance, because in 2020 a remake of *Japan Sinks* was created, though in the form of an anime.

As we mentioned in the schematic list, in disaster films, any natural or technical disaster creates a closed space, inside which the characters fully reveal their customs, as people facing imminent danger are freed from the rules and laws imposed by their social status and act only according to the dictates of their inner voice and instinct.

Such films include Irwin Allen and John Gellerman's *The Towering Inferno* (1974), which takes place in a burning skyscraper, with three hundred participants of a festive banquet trapped. Ironically, these people are the participants of the opening ceremony of this skyscraper. Almost all the laws of the genre scheme we have listed work in this film. Many popular actors are involved in the picture: Fred Astaire, William Holden, Richard Chamberlain, Faye Dunaway and Paul Newman and Steve McQueen as the main rescuers. Newman's character is an architect designing a skyscraper who is trying to rescue people from inside a burning building, and McQueen is a fire brigade commander trying to save people trapped in an inferno from the outside. Thus, at the dawn of the origin of the genre, the story of the rescue of people from a closed space created by fire unfolds on a much larger scale in this picture. At the same time, we also see the development of several love stories, which, of course, has an emotional impact on the audience and makes us feel sympathy for the characters. The tension is increased by showing a small fire in one of the rooms of the skyscraper at the beginning of the film, which gradually becomes bigger and bigger. The engineer responsible for starting the fire, who used low-quality material for the electrical wiring for the sake of economy, also dies. The film's creators focused special effects to bolster revenues. The picture, with a budget of 15

2 Dolidze, John Ford. 2020 p. 125

million USD, brought a profit of up to 200 million.[3]

In the same year 1974, the film *Earthquake* by director Mark Robson conveys in a reportage style the natural disaster that hit San Francisco. The tremors of the earthquake dramatically change the rhythm of the usual life of the city dwellers, and as indicated in the scheme we have established, the dynamism of the action increases in parallel with collapsing buildings.

To achieve maximal effect, the distributors of the film installed special devices in theatres that caused a real earthquake sensation: the walls shook, the audience seats vibrated and the floor shook, and the sound of destruction was heard from the speakers.

Many may argue why the popularity of disaster movies coincided with the 1970s—after all, cinema is always nourished by the spirit of the time in which it is created, and in this regard, it is interesting to look at this decade itself and its trends. By the 1970s, modern civilization had already gone through many trials, there was World War II, which brought unprecedented mass murders, also the Caribbean crisis and nuclear war threats, the movements and calls of the 1960s to change the world for the better had passed, and irreversible technical progress, daily changed the way of life of society, and completely different anxieties and fear of the future took place in people's hearts. Among the theories as to why this genre developed in the 1970s, one of the most popular is the idea that disaster movies are a kind of antidote through which humanity fights its fears. According to some filmmakers, it is also a way to fight the fear of loneliness, because the common threat unites the people sitting in the audience hall and gives them a sense of solidarity.[4]

REFERENCES:

- დოლიძე ზ. მსოფლიო კინემატოგრაფის ისტორია. უხმო კინო. თბილისი, „კენტავრი“, 2007.
- დოლიძე ზ. ჯონ ფორდი. თბ., „მწიგნობარი“, 2020.
- მარკულანი ი. „საშინელებათა ფილმი“. „ისკუსტვო“, ლენინგრადი. 978 https://coollib.com/b/493192-yanina-kazimirovna-markulan-kinomelodrama-film-uzhasov/read

3 Markulan, "Horror Movie". "Art", Leningrad. 978 https://coollib.com/b/493192-yanina-kazimirovna-markulan-kinomelodrama-film-uzhasov/read

4 Markulan, Horror movie.